## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N D-1

(საავტორო ნაშრომის შესყიდვასთან დაკავშირებით)

ქ. ახალციხე 13 მაისი 2018 წელი

**1. ხელშეკრულების მხარეები**

1.1. ერთის მხრივ სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი - ნაზო სულუაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ დრამატურგი - დმიტრი ნიკოლაევიჩ ბოგოსლავსკი პ/ნ 3150885AOOOVF2 (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით, შემდეგში ,,მიმწოდებელი" ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ,,ს1" ქვეპუნქტის და 2012 წლის 24 იანვრის საქართველოს მთავრობის N99 განკარგულების საფუძველზე და მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით დებენ ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება") შემდეგზე:

**2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია**

2.1 ობიექტის დასახელება – საავტორო ნაშრომის CPV კოდები - 92310000 - პიესის ,,Если завтра нет" უვადოდ შესყიდვა. (გამარტივებული შესყიდვა)

2.2 დაფინანსების წყარო - კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის სახსრები.

2.4 შემსრულებელი აცხადებს, რომ ნაწარმოების თეატრისათვის გადაცემის თაობაზე შემდგარ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით თეატრს გადასცემს უვადოდ ყველა უფლებას ნაწარმოებზე, კერძოდ:

ა) ნაწარმოების საჯარო ჩვენების უფლება;

ბ) ნაწარმოების საჯარო შესრულების უფლება

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - 1875.00 (ათასრვაასსამოცდათხუთმეტი) ლარს.საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

**4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები**

4.1 პიესის გადმოცემა განხორციელდება - 2018 წლის 13 მაისამდე.ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

**5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია**

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**6. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მიმწოდებელი

6.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში შესაბამის ექვივალენტით ევროში.

6.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

6.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

**7. ფორს-მაჟორი**

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომლებიც იბიექტური მიზეზით უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

7.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

**9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

9.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს.

**10. სხვა პირობები**

10.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ერთი – მიმწოდებელთან, მეორე - შემსყიდველთან.

10.2 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

**11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**

შემსყიდველი

სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული

სახელმწიფო დრამატული თეატრი

ქ. ახალციხე, თამარ მეფის 6

ს/ნ 224072928

სამხატვრო ხელმძღვანელი

ნაზო (ლია) სულუაშვილი

მიმწოდებლის მხრიდან

დრამატურგი

დმიტრი ბოგოსლავსკი

პ/ნ 3150885A000VF2

ბელარუსიის რესპუბლიკა

ანგ/ნომ BY18POLS38120005000103978003

დ. ბოგოსლავსკი

(Богославский Д.Н.)

მიღება-ჩაბარების აქტი #

ქ. ახალციხე 13 მაისი 2018 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ნაზო სულუაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ დრამატურგი - დმიტრი ნიკოლაევიჩ ბოგოსლავსკი პ/ნ 3150885AOOOVF2 (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, 2018 წლის 13 მაისის ხემოწერილი ხელშეკრულების თანახმად ვადგენთ აქტს მასზედ, რომ „შემსყიდველმა“ შეუკვეთა, ხოლო „მიმწოდებელმა“ გაუწია შემდეგი სახის მომსახურება: უვადოდ გადასცა საავტორო ნაშრომი პიესა ,,Если завтра нет“ , რომლის საერთო ღირებულება შეადგენს - 1875. 00 ლარს . (ათასრვაასსამოცდათხუთმეტი) ლარს და 00 თეთრს. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

წინამდებარე აქტი ადასტურებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას და წარმოადგენს დადგენილი ანაზღაურების გადახდის საფუძველს.

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატულ თეატრში“, ხოლო მეორე დრამატურგი - დმიტრი ბოგოსლავსკისთან

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ მესხეთის (ახალციხის) პროფესიული
სახელმწიფო დრამატული თეატრი
ქ. ახალციხე, თამარ მეფის 6
ს/ნ 224072928
სამხატვრო ხელმძღვანელი
ნაზო (ლია) სულუაშვილი

მიმწოდებლის მხრიდან
დრამატურგი
დმიტრი ბოგოსლავსკი
პ/ნ 3150885A000VF2
ბელარუსიის რესპუბლიკა

ანგ/ნომ BY18POLS38120005000103978003
დ. ბოგოსლავსკი
(Богославский Д.Н.)